თომას ჰობსი ეს არის ადამიანი (ნიკოლო მაკიაველისთან ერთად), ვინც ალბათ ყველაზე მეტად განსაზღვრა ის, თუ როგორ განვიხილავთ დღეს პოლიტიკას, როგორ ვსაუბრობთ დღეს პოლიტიკაზე. მთავარი და ძირითადი ამაში არის ის, რომ ჰობსი პოლიტიკას და სახელმწიფო ძალაუფლების ფენომენს უყურებს მაქსიმალურად რეალისტურად, პრაგმატულად, ჩვენი ცხოვრებისეული საჭიროებებიდან გამომდინარე; ოღონდ თუ მაკიაველი პოლიტიკას უყურებდა ძირითადად ხელისუფლების პერსპექტივიდან, ანუ ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, ჰობსი პოლიტიკას, სახელმწიფო ძალაუფლებას უყურებს ინდივიდის ინტერესებიდან გამომდინარე, ანუ ის ფაქტიურად სვამს საკითხს: რისთვის გვჭირდება ხელისუფლება და რატომ უნდა დავემორჩილოთ ხელისუფლებას?

ცხადია, ადამიანები ყოველთვის ემორჩილებოდნენ ხელისუფლებას ისტორიულად. ამის მიზეზი ნაწილობრივ იყო ჩვევა, იმიტომ, რომ სახელმწიფო ყოველთვის არსებობდა, ხელისუფლება ყოველთვის არსებობდა, ადამიანები მათ ყოველთვის ემორჩილებოდნენ და ადამიანები იმას აკეთებენ, რასაც სხვები აკეთებენ. გარდა ამისა, იყო შიშის ფაქტორი. ყველამ იცის, რომ თუ ხელისუფლებას არ დაემორჩილები, დიდი შანსია, რომ ამისთვის დაისაჯო. აი, ამ ჩვევის და შიშის მოტივებია ჩვეულებრივ, რაც ადამიანებს აიძულებს, რომ დაემორჩილონ ხელისუფლებას, მაგრამ მხოლოდ ეს ჩვევა და შიში მაინც არ არის საკმარისი. ყოველთვის გამოჩნდებიან ადამიანები და ჩნდებოდნენ, ვისაც შეიძლებოდა ეჭვი შეეტანა იმაში, რომ უნდა დამორჩილებოდა მოცემულ ხელისუფალს, მოცემულ მთავრობას. ამიტომ მთავრობას სჭირდება კანონიერება, ლეგიტიმურობა, ანუ ადამიანები ემორჩილებიან ისეთ მთავრობას, რომელიც არის მათ თვალში ლეგიტიმური. სწორედ ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი დასვა ჰობსმა ახლებურად.

ტრადიციული წარმოდგენა ხელისუფლების ლეგიტიმურობისა, ჩვეულებრივ, დაკავშირებული იყო რელიგიასთან, იმასთან, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო და ამ სამყაროში, როგორადაც ის ღმერთმა შექმნა, ყოველთვის არსებობს რაღაც იერარქია, არსებობენ უფროსები და უმცროსები, მაღლა მდგომები, დაბლა მდგომები და, შესაბამისად, არსებობენ მთავრობები, არსებობენ მეფეები და ქვეშევრდომებს აქვთ მოვალეობა, მათ დაემორჩილონ, იმიტომ, რომ ასეა აწყობილი ეს ქვეყანა. ამას, ტრადიციულად, უწოდებდნენ მეფეთა საღვთო უფლებას. ანუ მეფე წარმომადგენელია ღმერთისა, ღვთაებრივი წესრიგისა და მას უნდა დავემორჩილოთ იმიტომ, რომ მეფეების არსებობა არის ღვთაებრივი წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი...

ჰობსი ასე არ უყურებს საღვთო ძალაუფლებას, უფრო სწორად, სამეფო ძალაუფლებას, საერთოდ, პოლიტიკურ ძალაუფლებას. ის ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვას, თუ რისთვის გვჭირდება ჩვენ ძალაუფლება და რატომ უნდა დავემორჩილოთ მას - რაციონალური მოსაზრებებიდან, რაციონალური მსჯელობიდან გამომდინარე, ისევ ადამიანის ინტერესებიდან გამომდინარე; ანუ ის ძალაუფლების ერთგვარ დესაკრალიზაციას ახდენს. ამის გასაგებად, თუ რატომ დაისვა ეს შეკითხვა, უნდა გავითვალისწინოთ ალბათ ისტორიული კონტექსტიც.

ჰობსი მოღვაწეობდა XVII საუკუნეში, ინგლისში. ეს არის ეპოქა, პერიოდი, რომელიც შემობრუნების ხანაა, შემობრუნების მომენტია ინგლისის ისტორიისთვის უპირველეს ყოვლისა, მაგრამ საერთოდ მსოფლიო ისტორიისთვისაც, იმიტომ, რომ შემდგომ ინგლისის მოვლენებმა გავლენა მოახდინა ევროპაზე და დანარჩენ მსოფლიოზე. ამ დროს, ჰობსის სიცოცხლის პერიოდში, მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი ინგლისში, რომელიც გრძელდებოდა დაახლოებით ათ წელს და ამ სამოქალაქო ომში ძირითადი მხარეები იყო მეფის აბსოლუტური ძალაუფლების მომხრეები და პარლამენტის მომხრეები; ფაქტობრივად, იყო ორი ჯარი - მეფის ჯარი და პარლამენტის ჯარი. იდეოლოგიურად, ეს ნიშნავდა ერთი მხრივ იმ მოსაზრების მომხრეობას, ვინც თვლიდა, რომ უნდა იყოს აბსოლუტური მონარქია, ანუ მეფეს აქვს ძალაუფლება ღმერთისგან და ის არაფრით არ უნდა იყოს შეზღუდული, ხოლო მეორე მხრივ, იდგნენ პარლამენტის მომხრეები, ანუ ის ადამიანები, ვინც თვლიდნენ, რომ მეფის ძალაუფლება, რა თქმა უნდა, წმინდათაწმინდაა და უნდა იყოს - უმრავლესობა ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიდა - მაგრამ ის შეზღუდული უნდა იყოს პარლამენტის ძალაუფლებით. პარლამენტი, თავის მხრივ, ეს იყო, ერთი მხრივ, თავადაზნაურობა ან დიდგვაროვნები, მეორე მხრივ, ლორდთა პალატა (რასაც დღესაც და მაშინაც ვეძახდით), ასევე შეძლებული მოქალაქეები, ანუ თემთა პალატა. მეფის და პარლამენტის დაპირისპირებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა ინგლისში - 1215 წლიდან, როდესაც დაიდო „დიადი ქარტია“ ანუ „მაგნატ კარტა“- შეთანხმება მეფესა და ბარონებს შორის უფლებების განაწილებაზე, მაგრამ იმის შემდეგ ეს იყო მუდმივი ბრძოლა, ვინ ვის აჯობებდა, მეფის ძალაუფლება თუ პარლამენტის მიერ შემუშავებული რაღაც კანონები და შეზღუდვები.
ისტორიაში XVII საუკუნე აღმოჩნდა ერთგვარი აპოგეა ამ ბრძოლისა და ის სამოქალაქო ომი, რომელიც მიმდინარეობდა ჰობსის სიცოცხლეში, სწორედ იყო ის ძირითადი მოვლენა, რომელმაც განსაზღვრა ჰობსის ხედვა. სწორედ ამ ომის კონტექსტში დასვა მან თავისი ძირითადი შეკითხვები. თვითონ ის პიროვნულად იყო მეფის მომხრეთა ბანაკში, ამართლებდა მეფის აბსოლუტურ ძალაუფლებას და შეიძლება მისი მთავარი წიგნი, „ლევიათანი“, წავიკითხოთ, როგორც მეფის აბსოლუტური ძალაუფლების გამართლება. ამის გამო მას მოუწია ინგლისის დატოვება, როდესაც პარლამენტის მომხრეები გაძლიერდნენ. საბოლოოდ, ინგლისის სამოქალაქო ომი დამთავრდა პარლამენტის გამარჯვებით. მეფე ჩარლზ I-ს მოჰკვეთეს თავი. საბოლოო შედეგი აღმოჩნდა საერთოდ მონარქიის გაუქმება და ოლივერ კრომველის სამხედრო დიქტატურის დამყარება. ამ პერიოდში ჰობსი იყო უკვე საფრანგეთში, პოლიტიკური დევნილი იყო, ასე ვთქვათ, მაგრამ მას არც მეფის მომხრეთა შორის ჰყავდა ყველა თანამოაზრე - აქაც მოუვიდა კონფლიქტი იმის გამო, რომ ის, მართალია, ამართლებდა მეფის ძალაუფლებას და საჭიროდ თვლიდა მეფის ძლიერ ძალაუფლებას, მაგრამ ის ამას არ ამართლებდა, ვთქვათ, საკრალური მოტივებით ანუ მეფეთა საღვთო უფლების დოქტრინით. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ალბათ ისიც, რომ ინგლისის სამოქალაქო ომი გარდა იმისა, რომ ის იყო წმინდა პოლიტიკური დაპირისპირება აბსოლუტური მონარქიის და საპარლამენტო ძალაუფლების მომხრეთა შორის. გარდა ამისა, მას ჰქონდა რელიგიური ასპექტიც. ინგლისი იყო პროტესტანტული ქვეყანა, ის გამოეყო

კათოლიკურ ეკლესიას ერთი საუკუნით ადრე ამ სამოქალაქო ომამდე, მაგრამ როგორი პროტესტანტიზმი უნდა ყოფილიყო აქ გაბატონებული, ამაზეც სხვადასხვა აზრი არსებობდა. ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლები იყვნენ მეფის მომხრეები - უფრო რიტუალური და ინსტიტუციონალიზებული, კათოლიციზმთან შედარებით უფრო ახლო მდგომი რელიგია მოსწონდათ მათ; მაგრამ მეორე მხარეს იდგნენ უფრო რადიკალური რელიგიური რეფორმატორები.
ამის ხაზგასმას რატომ აქვს მნიშვნელობა? - იმიტომ, რომ როდესაც ვსაუბრობთ მეფის საღვთო უფლებებზე, ე.ი. რელიგიით ვამართლებთ მეფის ძალაუფლებას, მაგრამ როდესაც ამავე დროს რელიგიური ომია, ანუ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები უპირისპირდებიან ერთმანეთს, უფრო ძნელი ხდება იმის დადგენა, ღმერთს რომელი მხარის გამარჯვება უნდა. ორივე მხარე ღმერთის ავტორიტეტს იშველიებს, თუმცა, შეუძლებელია იმის დადგენა, ღმერთი ვის მხარეზეა, იმიტომ, რომ ღმერთთან პირდაპირი კავშირი არავის არ აქვს. ასე რომ, ჰობსის ნოვატორობა მდგომარეობდა იმაში, რომ მან სრულიად გადადო რელიგია, როგორც პოლიტიკური ლეგიტიმურობის განსაზღვრის ფაქტორი, და შეეცადა, პოლიტიკური წყობა, პოლიტიკური სისტემა გაემართლებინა რელიგიაზე მითითების გარეშე. ამის გამო მას შემდეგ ათეისტობაც დააბრალეს. მკვლევრები კამათობენ, ჰობსი მართლა ათეისტი იყო თუ მართლა მორწმუნე იყო. ეს ალბათ არ არის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი, მთავარია, მან სცადა, რომ პოლიტიკური თეორია აეგო რელიგიაზე ყოველგვარი მითითების გარეშე, მაგრამ თუ არა საღვთო უფლება, თუ არა ღმერთის ნება, მაშინ რით შეიძლება გავამართლოთ პოლიტიკური სისტემა?
ჰობსის მიდგომა, ასე ვთქვათ, ჰობსის ამოსავალი არის ადამიანი, ადამიანის ბუნება - თუ არა ღმერთი, ე.ი. თუ ღმერთით ვერ გავამართლებთ და ვერ გავარკვევთ, როგორი პოლიტიკური წყობა უნდა იყოს, ამოსავალი უნდა იყოს თვითონ ადამიანი, ადამიანის ბუნება, ადამიანური საჭიროებები და ინტერესები. მაგრამ როგორ უნდა განვსაზღვროთ, როგორია ადამიანის ბუნება, ამისათვის ჰობსს შემოაქვს ცნება - მისთვის და შემდეგ მრავალი სხვა პოლიტიკური მოაზროვნესთვის ამოსავალი ცნება - ბუნებითი მდგომარეობა.
ბუნებითი მდგომარეობა შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ერთგვარი წარმოსახვითი ვითარება, სადაც ადამიანები ცხოვრობენ ყოველგვარი სახელმწიფოს და კანონების გარეშე. ასეთ ვითარებაში ადამიანის ბუნება გვეძლევა სუფთა სახით, ასე ვთქვათ, იმიტომ, რომ მას არაფერი არ ართულებს, ადამიანი არ არის დამოკიდებული არც სახელმწიფოზე, არც კანონებზე, არც თუნდაც რელიგიაზე... ის არის უბრალოდ ადამიანი, როგორიც ის არის.
როგორია ადამიანი ბუნებით მდგომარეობაში? რით შეიძლება ის დავახასიათოთ? ბუნებითი მდგომარეობის დახასიათებას ჰობსი იწყებს იმის თქმით, რომ ადამიანი ბუნებით მდგომარეობაში არის თავისუფალი და თანასწორი; ანუ ყველა ადამიანი არის თავისუფალი და თანასწორი.
რას ნიშნავს ეს? რის თქმა უნდოდა ამით ჰობსს? ეს ნიშნავს იმას, რომ თუკი არ არსებობს სახელმწიფო და კანონები, ე.ი. ადამიანის მოქმედებას არაფერი არ ზღუდავს; მას აქვს

ყველაფრის უფლება; მას შეუძლია გააკეთოს ნებისმიერი რამ, რაც მოესურვება - არანაირი გარე შეზღუდვები მას არ აქვს, მაშასადამე, ის არის თავისუფალი.
მეორე მხრივ, ყველა ადამიანი არის თანასწორი, რაც ისევ იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა უთანასწორობა, ჩვეულებრივ, ემყარება ისევ მის გვარიშვილობას, წოდებას - ვიღაცა იბადება გლეხად, ვიღაცა თავადად, ვიღაცა მეფედ... მაგრამ ეს არის საზოგადოებაში, სახელმწიფოში, ხოლო ბუნებით მდგომარეობაში არ არსებობს არანაირი იურიდიული, სამართლებრივი საფუძველი, ყველა ადამიანი თანასწორია. ადამიანებს აქვთ მხოლოდ გარკვეული უნარები, იბადებიან რაღაც უნარებით. მათ აქვთ ფიზიკური უნარები და გონებრივი უნარები. რა თქმა უნდა, მათი ფიზიკური და გონებრივი უნარები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ეს განსხვავება არც ისე დიდია, რომ გაამართლოს ერთი ადამიანის ბატონობა მეორეზე ან ერთი ადამიანის აღმატებულება სხვაზე. რა თქმა უნდა, ვიღაცა უფრო ღონიერია, ვიღაცა უფრო სუსტია, მაგრამ ორი სუსტი რომ გაერთიანდეს, იმ ღონიერს აჯობებს; ასევე, თუ მათ არ ისწავლეს მათემატიკა ან ფიზიკა, ბუნებრივად რაც იციან - რაღაც პრაქტიკული, პრაგმატული გონება ყველას აქვს, ყველას შეუძლია გაითვალოს თავისი ინტერესი - არსებითი და პრინციპული განსხვავება ადამიანებს შორის ცოდნისა და ინტელექტის თვალსაზრისით არ არსებობს. დაახლოებით ყველა ადამიანი რეალურად, ობიექტურად თავისი უნარებით არის თანასწორი და სწორედ ასეთი თავისუფალი და თანასწორი ადამიანების თანაცხოვრება არის ის, რასაც ჰობსი უწოდებს ბუნებით მდგომარეობას.